ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 21

ქალაქი ბათუმი

18 თებერვალი, 2020 წელი (16 : 00 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებ-ში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
2. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. თემურ კაკაბაძე - ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებები-სათვის'' დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;
4. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოცი-აციის თავმჯდომარე;
5. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
6. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმღვა-ნელი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 6, არ ესწრებოდა 5 (საბჭოს 5 წევრმა წინასწარ შეატყობინა საბჭოს თავმჯდომარეს სხდომაზე ვერდასწრებისა და საპატიოდ ჩათვლის თაობაზე - კერძოთ, ლ.ნაკაშიძე და ნ.აფხაზავა სამსახურებრივი მივლინების, მ.ბურკენაძე და თ.ხუხუნაიშვილი სამსახურებრივი საქმიანობის ხოლო ზ.ჩიხლაძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო)

სხდომას ასევე ესწრებოდა - შოთა გუჯაბიძე - საზოგადოება ,,ბათომის" - დამფუძნებელი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 21 (18 თებერვალი - 2020 წ / 16 : 00 სთ)

საკითხი 1. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, ექიმ პლატონ გიგინეიშვილის 150 წლის იუბი - ლესთან დაკავშირებით, მისი სახელობის ძეგლის განთავსების თაობაზე საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი - ქ.ბათუმის მერის წერილობითი მომართვა N 25/31222 30/12/2019)

საკითხი 2. ა(ა)იპ ,,გაერთიანებული საფოსტო კავშირის" წერილში - ქ. ბათუმის ცენტრალურ პარკში ფოსტის მონუმენტის განთავსების თაობაზე დასმული საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი - ქ.ბათუმის მერის წერილობითი მომართვა N 25/607 20/01/2020)

საკითხი 3. აჭარის საზოგადოების ნაწილის სახელით საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის (ც.ანთაძე) მიერ განცხადებაში - ქ. ბათუმში რომელიმე ქუჩისა და ახალი სკვერისთვის აჭარის დამსახურებული ინჟინრის, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ისმეთ დიასამიძის სახელის მინიჭების თაობაზე დასმული საკითხის - განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი - ქ.ბათუმის მერის წერილობითი მომართვა N 25/1844 31/01/2020)

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხი.

საკითხი 1. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, ექიმ პლატონ გიგინეიშვილის 150 წლის იუბი - ლესთან დაკავშირებით, მისი სახელობის ძეგლის განთავსების თაობაზე საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრეთ და შეახსენა რომ აღნიშნული საკითხი წინა სხდომაზე იმ მიზნით არ იქნა განხილული რომ წერილი რუსულ ენაზე იყო წარმოდგენილი, ხოლო საქართველოში საქმისწარმოების ენად აღიარებულია სახელმწიფო ენა - ქართული.

კახაბერ გუჩმანიძე : წინა სხდომაზეც დავაფიქსირე ჩემი მოსაზრება და ამჯერადაც იგივე მკაცრი ტონალობით მინდა გავიმეორო - ქ.ბათუმის მერიაში წარმოდგენილი წერილი (ინიციატივა) დაბეჭდილი იყო რუსულ ენაზე და თან რუსეთის ფედერაციის (ოკუპანტი ქვეყნის) ჯანდაცვის სამინისტროს ტიტულიან ქაღალდზე რაც მინიმუმ შეურაცხმყოფელია, ამჯერადაც შეუვალი იქნება ჩემი დამოკიდებულება ასეთი უმსგავსო საქციელის მიმართ, მავანთათვის საქართველო დღესაც შესაძლოა რუსეთის მორიგ გუბერნიად მოიაზრებოდეს თუმცა მე არ ვაპირებ რეტროგრადების მენტალობის შეცვლას, ასევე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მსგავს წერილებს არც ქ.ბათუმის მერია უნდა იღებდეს და ატარებდეს

კანცელარიაში, მითუმეტეს არ უნდა უგზავნიდეს მრჩეველთა საბჭოს განხილვისა და მოსაზრების წარმოდგენის მიზნით.

ნინო ინაიშვილი : ვფიქრობ, რომ პლატონ გიგინეიშვილის შთამომავალი არ უნდა მოგვმართავდეს რუსულ ენაზე შედგენილი ტექსტით, თანაც რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს ტიტულიან ფურცელზე (თავად ეს ლოგოიანი ფურცელიც უნდობლობას იწვევს, რადგან ძალიან ყავლგასულის იერი აქვს). მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ სად უნდა დაიდგას ეს ბიუსტი, რაც არქიტექტორებთან იქნება შესათანხმებელი. ამის გამო, პირადად მე არ ვაპირებ განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას.

საუბარში და განხილვაში ასევე ჩაერთო სხდომაზე დამსწრე საზოგადოება ბათუმის დამფუძნებელი შოთა გუჯაბიძეც, რომელმაც საბჭოს წევრებს ესაუბრა პლატონ გიგინეიშვილზე და მის ღვაწლზე, ასევე იმ კონკრეტულ ლოკაციაზე სადაც არის მოთხოვნილი ბიუსტის განთავსება, შოთა გუჯაბიძე დაეთანხმა საბჭოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მსგავსი საკითხები ერთობლივად კომისიური წესით უნდა განიხილებოდეს, ხოლო კომისია ქალაქის აქტიური მოქალაქეებით, საზოგადოების სხვადასხვა ფენებით და რათქმაუნდა შესაბამისი დარგის პროფესიონალებით - არქიტექტორებით, სკულპტორებით, მხატვრებით უნდა იყოს დაკომპლექტებული.

კახაბერ გუჩმანიძე : დღეს უმჯობესია ვიმსჯელოთ იმ თარგმნილ ვერსიაზე რაც ქ.ბათუმის მერიამ განმეორებით წარმოგვიდგინა. პირადად მე ვფიქრობ რომ ექიმ პლატონ გიგინეიშვილის დამსახურება და ღვაწლი მართლაც მნიშვნელოვანია რასაც დაფასება ჭირდება.

გაიმართა მსჯელობა, საბჭოს წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ აღნიშნა ექიმ პლატონ გიგინეიშვილის ღვაწლი და ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის ბიუსტების განთავსების საკითხი პროფესიული, ასევე საზოგადოების ფართო წრეებით დაკომპლექტებული კომისიის ერთობლივი (განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა - ერთობლივი) მსჯელობის საკითხი უნდა იყოს რაშიც ბუნებრივია თავის მხრივ ჩაერთვება ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანოც.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ქ.ბათუმის მერზე მისაწერი წერილის (მოსაზრება) პროექტი :

ბატონო ლაშა,

თქვენ მიერ განმეორებით მოსაზრების წარმოდგენის მიზნით გადმოგზავნილი ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წ. 25 ოქტომბერს (N 27355/25) შესული პროფესორ გიორგი გიგინეიშვილის წერილის (საბჭოს თხოვნით - ქართულ სახელმწიფო საქმისწარმოების ენაზე თარგმნილი ვერსია) - ქ.ბათუმის საპატიო მოქალაქის, ექიმის პლატონ გიორგის ძე გიგინეიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი სახელობის ძეგლის განთავსების თაობაზე, საბჭომ იმსჯელა მიმდინარე წლის 18 თებერვლის 21 - ე სხდომაზე და გადაწყვიტა წარმოადგინოს შემდეგი მოსაზრება :

,, დიდია ექიმ პლატონ გიგინეიშვილის ღვაწლი და დამსახურება ქ.ბათუმის წინაშე, რასაც სათანადო დაფასება და პატივისცემა სჭირდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე საბჭო მიესალმება ექიმ პლატონ გიგინეიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისი სახელობის ძეგლი-ბიუსტის ქ.ბათუმში განთავსებას თუმცა ლოკაციის თაობაზე მსჯელობა უნდა მოხდეს შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების აქტიური ჩართულობითა და მოსაზრებების გათვალისწინებით ''

ჩატარდა ღია კენჭისყრა, დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ზემოაღნიშნული მოსაზრების მერისთვის წარდგენას.

საკითხი 2. ა(ა)იპ ,,გაერთიანებული საფოსტო კავშირის" წერილში - ქ. ბათუმის ცენტრალურ პარკში ფოსტის მონუმენტის განთავსების თაობაზე დასმული საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

კახაბერ გუჩმანიძე : კოლეგებო აღნიშნული წერილი (ინიციატივა) თავისი თანდართული მასალებით საკმაო პერიოდია გადმოგზავნილი გაქვთ გასაცნობათ, მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ ჩემთვის როგორც საბჭოს თავმჯდომარისთვის მიუღებელია შემდეგი გარემოება - წერილიდან ირკვევა, რომ მონუმენტი უკვე ჩამოსხმულია, ყავს ავტორი, ადგილი და კონკრეტული ლოკაცია უკვე განსაზღვრულია და ქ.ბათუმი მერია გვთხოვს მოსაზრებების წარმოდგენას, ვფიქრობ ეგ არ არის ჯანსაღი მიდგომა, დროა სხვა ტიპის სტანდარტების დამკვიდრდეს და როგორც ზევით პირველი საკითხის განხილვისას ავღნიშნე მსგავსი ინიციატივების გადაწყვეტა ერთობლივად პროფესიული და საზოგადოების აქტიური წრეების ჩართულობით კომისიურად უნდა ხდებოდეს.

საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტური უმრავლესობა დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, აღინიშნა ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ პერიოდში საბჭოს ძირითადად ძეგლებთან, ბიუსტებთან, მონუმენტებთან და მათ განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები ეგზავნება რაც დასანანია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ქალაქში უამრავი გამოწვევაა რაზედაც სასურველი იქნებოდა საბჭოს მოსაზრებების მოსმენა-გაზიარება.

ნინო ინაიშვილი : სრულიად დაუსაბუთებელია და გაუგებარია ფოსტის მონუმენტის დადგმა ცენტრალური პარკის შესასვლელთან, ან ზოგადად პარკში. უფრო ლოგიკურია მსგავსი მონუმენტის დადგმა საქართველოს ფოსტის შენობასთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მონუმენტი სხვა ადგილას დასადგმელად იყო გამიზნული, დამკვეთებმა ფულიც გადაიხადეს და იქ რომ ვერ დადგეს, მერე გადაწყვიტეს „სადმე" დაედგათ. მსგავსი მიდგომა სრულიად დაუშვებელია და, რა თქმა უნდა, დაცინვაა იმის თქმა, რომ „მონუმენტი დადებითად აისახება ქ.ბათუმის ტურისტულ პოტენციალზე და ერთერთ ღირსშესანიშნაობად იქცევა".

კახაბერ გუჩმანიძე : წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მონუმენტი დადებითად აისახება ქ.ბათუმის ტურისტულ პოტენციალზე და ერთერთი ნახვადი ლოკაცია გახდება, რაშიც ვერანაერად დავეთანხმებოდი წერილის ავტორს და ზოგადად გაუგებრადაც მიმაჩნია მსგავსი კუთხით ფორმულირება.

კახაბერ გუჩმანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ქ.ბათუმის მერზე მისაწერი წერილის (მოსაზრება) პროექტი :

,, ბატონო ლაშა,

მიმდინარე წლის იანვარს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით (N25/607 20/01/2020) მოსაზრების წარმოდგენის მიზნით გადმოგვეგზავნა ქ.ბათუმის მერიაში მიმდინარე წლის 15 იანვარს შესული ა(ა)იპ ,, გაერთიანებული საფოსტო კავშირის '' წერილი (N643/25) ბათუმის ცენტრალურ პარკში (შესასვლელის მიმდებარედ) ფოსტის მონუმენტის განთავსების თაობაზე, რაზედაც საბჭომ იმსჯელა მიმდინარე წლის 18 თებერვლის 21-ე სხდომაზე და გადაწყვიტა შემდეგი მოსაზრების წარმოდგენა :

,, ა(ა)იპ ,,გაერთიანებული საფოსტო კავშირის'' წერილიდან და თანდართული მასალებიდან ირკვევა შემდეგი გარემოება - მონუმენტს უკვე ყავს ავტორი და დამზადებულია ალუმინით,

,, დიდია ისმეთ დიასამიძის დამსახურება რეგიონის წინაშე და ღვაწლმოსილი ადამიანები სათანადო დაფასებას საჭიროებენ, თუმცა საბჭო მიიჩნევს, რომ ქუჩების ან სკვერების სახელდების საკითხი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიცირებული სპეციალისტებითა და საზოგადოების ფართო ფენებით დაკომპლექტებული კომისიის ერთობლივი მსჯელობის საგანი (მათ შორის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩართულობით), ასევე უნდა ხდებოდეს მათი მოსაზრებების გათვალისწინება. ''

ჩატარდა ღია კენჭისყრა, დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა ზემოაღნიშნული მოსაზრების მერისთვის წარდგენას.

სხდომაზე სიტყვა ითხოვა საბჭოს წევრმა თემურ (თომა) კაკაბაძემ.

თემურ კაკაბაძე : კოლეგებო სამსახურებრივი საქმიანობის და ასევე სხვა რიგი მიზეზების გამო ვფიქრობ უმჯობესი და უპრიანი იქნება მოხდეს ჩემი ჩანაცვლება სხვა პირით, კერძოთ რამინ მაჭარაშვილით რომელიც კვალიფიციური იურისტია, არის არასამთავრობო ორგანიზაციის - ,,ცვლილებები თანაბარი უფლებებისთავის" აქტიური წევრი, ის წლების მანძილზე განუხრელად იცავს შშმ პირთა უფლებებს, არის ინიციატივიანი პიროვნება, ვფიქრობ მისი გამოცდილება დადებითად აისახება საბჭოს მუშაობაზე. თქვენ ყველანი საკმაოდ კარგად იცნობთ რამინს და მის სამოქალაქო აქტივობებს, გთხოვთ გაითვალისწინოთ.

საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ აღნიშნა თემურ (თომა) კაკაბაძის წვლილი რეგიონში სამოქალაქო სექტორის განვითარების საქმეში და მადლობა გადაუხადეს მას საბჭოში აქტიური საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა თ.კაკაბაძეს აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით ეცნობებინა მერისთვის რათა მისი თანხმობის შემთხვევაში შესულიყო შესაბამისი ცვლილებები ბრძანებაში.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ასევე სხდომაზე დამსწრე საზოგადოება ,,ბათომის'' დამფუძნებელს - შოთა გუჯაბიძეს მსჯელობის პროცესში აქტიური ჩართვისა და გამოთქმული მოსაზრებების გამო, რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

18 თებერვალი 2020 წ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(მრჩეველთა საბჭოს წევრები)

#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	
4.	მაყვალა კვირიკაძე	წევრი	
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	
6.	თამარ ხუხუნაიშვილი	წევრი	
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტკარაძე	წევრი	
10.	ლაშა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

18 თებერვალი 2020 წ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
(მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
(სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ–ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	shotagujabidze@gmail.com	[illegible]
2.				
3.				
4.				
5.				